# ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის

# **2019 წლის ბიუჯეტის პროექტი**

(მეორე წარდგენა)

რუსთავი

**2018**

დადგენილების პროექტი

**„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*ა დ გ ე ნ ს:*

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი შემდეგი რედაქციით:

# თავი I

## ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

**მუხლი 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარებში

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **შემოსავლები** | **37 779,1** | **42 595,5** | **38 523,9** | **38 023,9** | **500,0** |
| გადასახადები | 14 092,3 | 13 600,0 | 33 362,9 | 33 362,9 | 0,0 |
| გრანტები | 17 758,7 | 23 650,9 | 500,0 | 0,0 | 500,0 |
| სხვა შემოსავლები | 5 928,1 | 5 344,6 | 4 661,0 | 4 661,0 | 0,0 |
| **ხარჯები** | **30 181,1** | **31 968,0** | **35 757,7** | **35 187,0** | **570,7** |
| შრომის ანაზღაურება | 3 540,0 | 3 778,0 | 14 018,4 | 13 739,2 | 279,2 |
| საქონელი და მომსახურება | 3 060,6 | 3 484,1 | 13 180,5 | 12 897,7 | 282,8 |
| პროცენტი | 294,5 | 326,8 | 165,1 | 165,1 | 0,0 |
| სუბსიდიები | 17 854,9 | 18 799,6 | 1 975,6 | 1 975,6 | 0,0 |
| გრანტები | 3,3 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 |

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2 541,9 | 2 950,9 | 3 208,7 | 3 202,5 | 6,2 |
| სხვა ხარჯები | 2 885,8 | 2 624,5 | 3 205,4 | 3 202,9 | 2,5 |
| **საოპერაციო სალდო** | **7 598,0** | **10 627,5** | **2 766,2** | **2 836,9** | **-70,7** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **6 522,5** | **13 802,0** | **4 604,4** | **4 271,7** | **332,7** |
| ზრდა | 8 095,8 | 14 602,0 | 5 354,4 | 5 021,7 | 332,7 |
| კლება | 1 573,3 | 800,0 | 750,0 | 750,0 | 0,0 |
| **მთლიანი სალდო** | **1 075,5** | **-3 174,5** | **-1 838,2** | **-1 434,8** | **-403,4** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-1 003,1** | **-3 958,2** | **-2 649,6** | **-2 246,2** | **-403,4** |
| ზრდა | 3 938,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3 938,4 | 0,0 | 0,0 | | |
| კლება | 4 941,6 | 3 958,2 | 2 649,6 | 2 246,2 | 403,4 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 4 941,6 | 3 958,2 | 2 649,6 | 2 246,2 | 403,4 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-2 078,6** | **-783,8** | **-811,4** | **-811,4** | **0,0** |
| კლება | 2 078,6 | 783,8 | 811,4 | 811,4 | 0,0 |
| საშინაო | 2 078,6 | 783,8 | 811,4 | 811,4 | 0,0 |
| **ბალანსი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

**მუხლი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **შემოსულობები** | **39 352,3** | **43 395,5** | **39 273,9** | **38 773,9** | **500,0** |
| შემოსავლები | 37 779,1 | 42 595,5 | 38 523,9 | 38 023,9 | 500,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1 573,3 | 800,0 | 750,0 | 750,0 | 0,0 |
| **გადასახდელები** | **40 355,4** | **47 353,7** | **41 923,5** | **41 020,1** | **903,4** |
| ხარჯები | 30 181,1 | 31 968,0 | 35 757,7 | 35 187,0 | 570,7 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 8 095,8 | 14 602,0 | 5 354,4 | 5 021,7 | 332,7 |
| ვალდებულებების კლება | 2 078,6 | 783,8 | 811,4 | 811,4 | 0,0 |
| **ნაშთის ცვლილება** | **-1 003,1** | **-3 958,2** | **-2 649,6** | **-2 246,2** | **-403,4** |

**მუხლი 3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 38 523,9 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **შემოსავლები** | **37 779,1** | **42 595,5** | **38 523,9** | **38 023,9** | **500,0** |
| გადასახადები | 14 092,3 | 13 600,0 | 33 362,9 | 33 362,9 | 0,0 |
| გრანტები | 17 758,7 | 23 650,9 | 500,0 | 0,0 | 500,0 |
| სხვა შემოსავლები | 5 928,1 | 5 344,6 | 4 661,0 | 4 661,0 | 0,0 |

**მუხლი 4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 33 362,9 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **გადასახადები** | **14 092,3** | **13 600,0** | **33 362,9** |
| **საშემოსავლო გადასახადი** | **2 576,4** | **2 300,0** | **0,0** |
| **ქონების გადასახადი** | **11 515,9** | **11 300,0** | **11 800,0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 6 852,5 | 7 500,0 | 7 800,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 28,1 | 0,0 | 0,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 163,6 | 100,0 | 0,0 |
| სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 12,5 | 0,0 | 0,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 4 459,1 | 3 700,0 | 4 000,0 |
| **სხვა გადასახადი (დღგ)** | **0,0** | **0,0** | **21 562,9** |

**მუხლი 5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 500,0 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **17 758,7** | **23 650,9** | **500,0** |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები** | **152,3** | **46,2** | **0,0** |

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები** | **17 606,5** | **23 604,8** | **500,0** |
| **მიმდინარე** | **11 193,8** | **15 450,3** | **500,0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 10 693,8 | 14 950,3 | 0,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 500,0 | 500,0 | 500,0 |
| **კაპიტალური** | **6 412,7** | **8 154,5** | **0,0** |
| კაპიტალური ტრანსფერი | 6 412,7 | 8 154,5 | 0,0 |

**მუხლი 6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4 661,0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **5 928,1** | **5 344,6** | **4 661,0** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **620,5** | **465,0** | **392,0** |
| **პროცენტები** | **250,9** | **200,0** | **200,0** |
| **დივიდენდები** | **27,0** | **35,0** | **10,0** |
| **რენტა** | **342,6** | **230,0** | **182,0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 263,6 | 150,0 | 100,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 79,0 | 80,0 | 82,0 |
| **საქონელი და მომსახურების რეალიზაცია** | **3 723,5** | **3 551,3** | **2 669,0** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **3 672,4** | **3 521,3** | **2 651,0** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 72,4 | 70,2 | 50,0 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0,1 | 0,0 | 0,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2,0 | 1,0 | 1,0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 2 720,1 | 2 500,0 | 1 800,0 |
| კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | 877,8 | 950,1 | 800,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **51,1** | **30,0** | **18,0** |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 51,1 | 30,0 | 18,0 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **1 153,0** | **1 100,0** | **1 300,0** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **431,1** | **228,3** | **300,0** |

**მუხლი 7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 35 757,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **ხარჯები** | **30 181,1** | **31 968,0** | **35 757,7** | **35 187,0** | **570,7** |
| შრომის ანაზღაურება | 3 540,0 | 3 778,0 | 14 018,4 | 13 739,2 | 279,2 |
| საქონელი და მომსახურება | 3 060,6 | 3 484,1 | 13 180,5 | 12 897,7 | 282,8 |
| პროცენტი | 294,5 | 326,8 | 165,1 | 165,1 | 0,0 |
| სუბსიდიები | 17 854,9 | 18 799,6 | 1 975,6 | 1 975,6 | 0,0 |
| გრანტები | 3,3 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2 541,9 | 2 950,9 | 3 208,7 | 3 202,5 | 6,2 |
| სხვა ხარჯები | 2 885,8 | 2 624,5 | 3 205,4 | 3 202,9 | 2,5 |

**მუხლი 8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 604,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5 354,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **39,3** | **210,5** | **38,6** | **30,7** | **7,9** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 30,5 | 53,5 | 38,6 | 30,7 | 7,9 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 8,7 | 157,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **5 772,8** | **12 459,9** | **3 428,9** | **3 287,4** | **141,5** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 5 043,2 | 10 000,7 | 2 408,7 | 2 403,4 | 5,3 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 1,6 | 68,4 | 101,5 | 101,5 | 0,0 |
| 02 03 | გარე განათება | 128,3 | 33,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 0,0 | 1 391,6 | 114,7 | 5,8 | 108,9 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 0,0 | 0,0 | 2,5 | 2,5 | 0,0 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 483,2 | 345,0 | 326,9 | 299,6 | 27,3 |

| კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| 02 08 | საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | 103,4 | 260,6 | 161,9 | 161,9 | 0,0 |
| 02 09 | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 13,2 | 359,9 | 312,7 | 312,7 | 0,0 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **16,0** | **52,1** | **54,0** | **54,0** | **0,0** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 3,5 | 30,9 | 42,0 | 42,0 | 0,0 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 12,5 | 21,2 | 12,0 | 12,0 | 0,0 |
| **04 00** | **განათლება** | **1 257,9** | **912,1** | **338,2** | **192,2** | **146,0** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 0,0 | 15,3 | 47,0 | 47,0 | 0,0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 1 257,9 | 872,8 | 245,1 | 99,1 | 146,0 |
| 04 04 | საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია | 0,0 | 24,0 | 46,1 | 46,1 | 0,0 |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **1 008,2** | **967,5** | **1 494,7** | **1 457,4** | **37,3** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 845,3 | 853,5 | 1 294,9 | 1 257,6 | 37,3 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 159,7 | 109,9 | 192,8 | 192,8 | 0,0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 3,2 | 4,0 | 7,0 | 7,0 | 0,0 |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1,5** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 1,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **სულ ჯამი** | | **8 095,8** | **14 602,0** | **5 354,4** | **5 021,7** | **332,7** |

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 750,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **1 573,3** | **800,0** | **750,0** |
| **ძირითადი აქტივები** | **516,3** | **200,0** | **50,0** |
| **არაწარმოებული აქტივები** | **1 057,0** | **600,0** | **700,0** |
| მიწა | 1 057,0 | 600,0 | 700,0 |

მუხლი 9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქც. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **5 945,5** | **6 587,3** | **6 712,8** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 5 099,4 | 5 916,3 | 6 352,7 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 5 099,4 | 5 607,4 | 6 050,7 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 308,9 | 302,0 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 399,7 | 141,0 | 145,0 |
| 70132 | საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 349,7 | 91,0 | 95,0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 294,5 | 326,8 | 165,1 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 151,8 | 203,2 | 50,0 |
| **702** | **თავდაცვა** | **235,9** | **267,2** | **293,0** |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 235,9 | 267,2 | 293,0 |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **5 783,3** | **10 908,1** | **3 445,9** |
| 7045 | ტრანსპორტი | 5 783,3 | 10 908,1 | 3 445,9 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 5 783,3 | 10 908,1 | 3 445,9 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **4 498,9** | **4 867,2** | **5 352,8** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 2 528,2 | 3 221,3 | 3 566,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 32,1 | 214,4 | 169,7 |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | 1 826,8 | 1 300,2 | 1 484,5 |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 111,9 | 131,3 | 132,6 |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **5 293,9** | **6 607,7** | **5 845,1** |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 2 552,2 | 2 322,7 | 2 975,7 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 491,3 | 345,7 | 352,5 |
| 7064 | გარე განათება | 1 745,8 | 1 446,9 | 1 461,5 |
| 7066 | სხვა არკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 504,6 | 2 492,5 | 1 055,4 |
| **707** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **235,9** | **243,0** | **293,0** |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 235,9 | 243,0 | 293,0 |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **6 245,9** | **6 351,7** | **7 427,7** |

| ფუნქც. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 2 942,6 | 2 892,2 | 3 159,3 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1 485,2 | 1 845,9 | 2 145,8 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 106,2 | 110,5 | 110,0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და სპორტის სფეროში | 1 711,9 | 1 503,1 | 2 012,6 |
| **709** | **განათლება** | **7 013,4** | **7 445,6** | **8 164,2** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 7 013,4 | 7 421,6 | 8 118,1 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 0,0 | 24,0 | 46,1 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 0,0 | 24,0 | 46,1 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **3 024,2** | **3 292,1** | **3 577,6** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 366,6 | 462,8 | 566,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 216,8 | 221,0 | 245,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 149,9 | 241,8 | 321,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 1 167,9 | 1 347,4 | 1 496,5 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 11,8 | 15,8 | 15,8 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 255,2 | 301,3 | 346,0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 1 222,7 | 1 164,8 | 1 153,3 |
| სულ | | **38 276,9** | **46 570,0** | **41 112,1** |

**მუხლი 10. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2 766,2 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-1 838,2) ათასი ლარის ოდენობით.

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 7 598,0 | 10 627,5 | 2 766,2 |
| მთლიანი სალდო | 1 075,5 | -3 174,5 | -1 838,2 |

**მუხლი 11. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-2 649,6) ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 2 649,6 ათასი ლარი, საიდანაც: 360,0 ათ. ლარი არის მრავალწლიანი პროექტების სახსრები, 403,4 ათ. ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი, ხოლო 1 886,2 ათ. ლარი არის თავისუფალი ნაშთი.

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-1 003,1** | **-3 958,2** | **-2 649,6** |
| ზრდა | 3 938,4 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 4 941,6 | 3 958,2 | 2 649,6 |

**მუხლი 12. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-811,4) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ გასასტუმრებელი ვალდებულებები შეადგენს 811,4 ათას ლარს.

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-2 078,6** | **-783,8** | **-811,4** |
| **კლება** | **2 078,6** | **783,8** | **811,4** |
| საშინაო | 2 078,6 | 783,8 | 811,4 |

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2018 წლის ბოლოს განისაზღვრება 2 469,4 ათასი ლარით.

# თავი II

## პრიორიტეტებისა და პროგრამების აღწერა

### მუხლი 13. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ავარიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **9 526,7** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2 615,9 |
| 02 01 01 | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | 1 996,8 |
| 02 01 02 | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | 400,0 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 219,1 |
| 02 01 04 | საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე საინფორმაციო ტაბლოების მოწყობა/რეაბილიტაცია | 0,0 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 169,7 |
| 02 02 01 | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია | 169,7 |
| 02 03 | გარე განათება | 1 461,5 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 1 461,5 |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდება გარე განათების სფეროში | 0,0 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 735,4 |
| 02 04 01 | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია | 178,9 |
| 02 04 02 | საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია | 556,5 |
| 02 04 03 | მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია | 0,0 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 1 920,0 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 917,7 |
| 02 06 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 352,5 |
| 02 06 02 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 499,2 |
| 02 06 03 | სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა | 66,0 |
| 02 07 | მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება | 830,0 |

| | | |
|---|---|---|
| 02 08 | საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | 356,5 |
| 02 09 | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 520,0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 01 01 | | 2019 წელი | 1991,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 18 პროექტი, რომლითაც მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა. 2018 წლის მდგომარეობით დაახლოებით მოწესრიგებულია მუნიციპალური გზების 75 %, 2019 წელს დამატებით მოწესრიგდება 7 %. 2019 წლის ბიუჯეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება დაახლოებით 4 716,1 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 1 996,7 ათ. ლარი. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები.<br>1) ლომოურის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია.<br>2) მე-12 მკ/რ-ისა და პუშკინის ქუჩის დამაკავშირებელი გზა - ტროტუარებით.<br>3) ქალაქ რუსთავში მე-11 მკრ-ში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიის გზის რეაბილიტაცია.<br>4) სპორტის ჩიხი და მიმდებარე ეზოების (ფიროსმანის N9,11,13; სპორტის ჩიხის N9ა,11ა,13ა,12ა,14ა,16ა; სპორტის N4,6,8; მშენებელთა N10,12,14,16,18; ოდიშარიას N23,25,27) ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია-ტროტუარებით.<br>5) რჩეულიშვილის N18-თან ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია<br>6) 21-ე მკ/რ-ის N2 საცხოვრებელი კორპუსის ეზოს დარჩენილი ა/ბეტონს საფარის რეაბილიტაცია - ტროტუარებით.<br>7) შარტავას #25 საცხოვრებელი კორპუსის ეზოს ა/ზეტონის საფარის რეაბილიტაცია (შარტავას გამზირის მხარე)- ტროტუარებით.<br>9) 21-ე მიკრორაიონის N4 საცხოვრებელი კორპუსის ეზოს დარჩენილი ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია-ტროტუარებით.<br>10) XXI მიკრორაიონის N7 და N8 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების დარჩენილი ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე ქსელის მოწყობა ჩერკასკის ქუჩამდე (XXI მიკრორაიონის N4ა ეზოს გავლით) - ტროტუარებით.<br>11) მესხიშვილის ქუჩაზე ავერსისა და N2 სამკურნალო ცენტრის მ/ტ-ს ეზოს ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია<br>12) ვახუშტის N8-ის მ/ტ გზის საფარის მოწყობა<br>13) აღმაშნებლის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაცია (მოდებაძის ქუჩიდან მე12-მკ/რნ-მდე)<br>14) ქალაქ რუსთავში მე-16 მკრ-ის N6-დან N2-მდე გზის გასწვრივ ტროტუარის მოწყობა<br>15) XII მიკრორაიონის N19 საცხოვრებელი კოპუსის მ/ტ გზის საფარის რეაბილიტაცია<br>16) გარეჯის ქუჩის გაგრძელებისა და გაგარინის ქუჩის დანარჩენი ნაწილის ა/ბეტონის საფარისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცი ა- ტროტუარებით.<br>17) მარცხენა სანაპიროს გზების, ტროტუარებისა და ეზოების საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემების მოწყობა<br>18) ქუთაისის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია<br>2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინსნსებით მოხდება სხვა საჭირო გზის მონაკვეთების მოწყობა/რეაბილიტაცია. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქ. რუსთავში ადგილობრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების დიდი ნაწილი იქნება რეაბილიტირებული. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. აღნიშნული პროექტების განხორციელების შემდეგ შეიქმნება უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. სამედიცინო, სახანძრო და სხვა დახმარების ბრიგადების დროული მისვლა დანიშნულების ადგილზე. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 01 02 | | 2019 წელი | 400,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ორმული დამუშვება ხდება როგორც შიდაკვარტალურ, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე.<br>სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში მოითხოვს აუცილებელ რეაბილიტაციას. პროექტი განხორციელდება სამსახურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტების შესაბამისად. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქალაქ რუსთავში გზის ორმული დამუშავება და წლის მანძილზე გზების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება. არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა. შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. გაზრდილი გზების ექსპლუატაციის პერიოდი. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (ექსპლოატაცია) | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 01 03 | | 2019 წელი | 219,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ " რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა,შეკეთება, ახალი ნიშნების დამატება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ნიშნებისა და გადასასვლელების,ბორდიურების მოვლა-პატრონობა გარდა ამისა გაკეთდება საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა ლოკაციებზეც ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება საპატრულო პოლიციის მოთხოვნის შესაბამისად. იხაზება ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 14 თანამშრომელი. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | მთელი წლის მანძილზე მოწესრიგებული ქალაქში არსებული საგზაო ნიშნები და დახაზული გადასასვლელები, დაცულია ტრანსპორტისა და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 02 01 | | 2019 წელი | 169,7 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა მოიცავს უამინდობის პერიოდში ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის უსაფრთხო მუშაობისთვის გაწმენდით ღონისძიებებს.ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა, რომელიც გულისხმობს უამინდობის პერიოდში სანიაღვრე სისტემის გაწმენდას,ასევე პერიოდულად ხდება ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. ხდება სანიაღვრე ჭების დაზიანებული სახურავების შეცვლა. მოხდება, თბილისის, ლომოურისა და მესხიშვილის ქუჩებზე და სასტუმრო ,,გრანდ ვეჯინის" მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 6 თანამშრომელი. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქში არსებული გამართული სანიაღვრე სისტემა | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 02 03 01 | | 2019 წელი | 1 461,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. 2019 წელს იგეგმება არსებული სანათების ენერგოეფექტური დიოდური სანათებით ჩანაცვლება, რაც შესაბამისად გამოიწვევს წლის განმავლობაში შემცირებული ელექტრო ენერგიის გადასახადს. ქალაქის მასშტაბით არსებული წერტილების რაოდენობა შეადგენს 7916 ცალს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია , რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა. ამორტიზირებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. დაზიანებული სადენების აღდგენა,შეკეთება და გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 12 თანამშრომელი. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განთება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწყობა/რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 04 01 | | 2019 წელი | 70,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება ავარიული საცხოვრებელი სახლების აივნების და ლოჯების გამაგრება-გაძლიერება, რომელთა შერჩევა მოხდება მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით, რომლის შეფასებაც მოხდება კონკრეტული მისამართის შესწავლის შემდეგ. ასევე მისამართების შერჩევისას მნიშვნელოვანია გამაგრება-გაძლიერების პროექტის არსებობა. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები.<br>ქ. რუსთავში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლების აივნების და ლოჯების გამაგრება-ხელშეკრულება ორწლიანიანია და გადადის 2019 წელში<br>სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპიური შენობა N1--ხელშეკრულება ორწლიანიანია და გადადის 2019 წელში<br>2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა დამატებით მისამართების მოწყობა/რეაბილიტაცია. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვი და ასევე სხვა ვიზიტორებისთვის. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილი მათი ექსპლუატაციის ვადა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 04 02 01 | | 2019 წელი | 500,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ „რუსთავის კორპუსი“ | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მომართვის საფუძველზე, კორპუსების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია ხორციელდება ააიპ „რუსთავის კორპუსის“ 100%-იანი დაფინანსებით; ააიპ „რუსთავის კორპუსის“ წარმომადგენლის მიერ ადგილზე ხდება პრობლემის შესწავლა; ჩასატარებელი სამუშაოების დაწყება ხდება რეგისტრირებული განცხადებების თანმიმდევრობისა და პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კანონმდებლობის ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ. | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | კორპუსებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 04 02 02 | | 2019 წელი | 56,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა. ხელშეკრულება ორწლიანია, ნაწილი შესრულდება 2019 წელს. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დაზიანებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა, სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. მოსახლეობის კმაყოფილების დონის ზრდა. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაიზრდება მათი ექსპლუატაციის ვადა. პროგრამის განხორციელების შემდეგ რეაბილიტირებული სახურავი შეამცირებს შენობის დაზიანების ხარისხს ცუდი ამინდის პირობებში, მოწესრიგებული გადახურვით ისარგებლებს კორპუსის ყველა მკვიდრი. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 05 | | 2019 წელი | 1 920,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ „რუსთავის კორპუსი“ | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრონციპით ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:<br>1) შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება-თანადაფინანსება 20%<br>2) სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება/აღდგენა-თანადაფინანსება 20%<br>3) სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟი-თანადაფინანსება 30%<br>4) სადარბაზოს შიდა რემონტი-თანადაფინანსება 20%<br>5) პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია-თანადაფინანსება 20%<br>6) სადარბაზოებში სართულის უჯრედზე სენსორული განათების მოწყობა-თანადაფინანსება მაღალსართულიანი 40%, დაბალსართულიანი 20%<br>7) კორპუსებში რკინა/ბეტონის კონსტრუქციის შეკეთება-თანადაფინანსება 30%<br>8) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა-თანადაფინანსების გარეშე<br>9) ადგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობა-ბმა-ს მხრიდან წამოსული ინიციატივები<br>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით; არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისთვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა; ინფორმირების ამაღლების მიზნით სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბუკლეტების, ფლაერების ბეჭდვა და გავრცელება.<br>ააიპ „რუსთავის კორპუსის“ კოორდინატორების მხრივ მეტი ჩართულობის გზით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხრიდან ახალი ინიციატივების მობილიზება | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ბმა-ს საერთო საკუთრების რეაბილიტირებაში მეტად ჩართული მოქალაქე; კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 06 01 01 | | 2019 წელი | 299,6 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოებში სკვერების მოწყობა. 2019 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება სავარაუდოდ 1 733.7 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 301.7 ათ. ლარი. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები.<br>1) ქალაქ რუსთავში ფიროსმანისა და დუმბაძის ქუჩებს შორის მდებარე სკვერის რეაბილიტაცია (მუნიციპალური თეატრის მიმდებარე ტერიტორია)<br>2) ქალაქ რუსთავში ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ ე.წ."ჩიკაგოს" სკვერის რეაბილიტაცია<br>3) მე-8 მკ/რნ N10-N11 თან სკვერის მოწყობა<br>4) მე-14 მკ/რ #46, 47, 48 სკვერის მოწყობა.<br>5) მე-6 მკ/რ #2_თან სკვერის მოწყობა<br>6) მე-12 მკ/რ-ში 7-8-9 კორპუსებს შორის სკვერის მოწყობა-ორწლიანი<br>7) მე-7 მკრ N16, 17-თან სკვერის მოწყობა<br>8) მე-7ა მკრ N4, 1, 9-თან სკვერის მოწყობა<br>9) მე-19 მკრ N19, 18, 2“, 22-თან სკვერის მოწყობა<br>10) მესხიშვილის N6-ის მ/ტ სკვერის მოწყობა<br>11) მესხიშვილის I გას. N9, 7 სკვერის მოწყობა<br>12) მესხიშვილის II გას. N6-ის მ/ტ ბავშვთა მოედანი |
| | გამოვლენილი ეკონომიების ან/და დამატებითი ფინანსების მოძიების ხარჯზე დაემატება სხვა მისამართებზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერებით, მოსახლეობისთვის გაჩნდება კომფორტული,მიმზიდველი და კომფორტული დასასვენებელი გარემო, ასევე სუფთა და ჯანსაღ გარემოში დროის გატარების შესაძლებლობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი სივრცეების ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 06 01 02 | | 2019 წელი | 25,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქალაქში არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა, რაც გულისხმობს სკვერებში დასასვენებელი სივრცეების რეაბილიტაციას, დასასვენებელი სკამების აღდგენას და ახალი სკამების დამატებას,სანაგვე ურნების დადგმას და სანათების აღდგენას. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | წლის განმავლობაში მოვლილი და აღდგენილი სკვერები. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 06 02 | | 2019 წელი | 496,7 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობები ფასადების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია. რეგიონალური განვითარების ფონდიდან იგეგმება დაფინანსება 2 375 ათ. ლარზე, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 499,2 ათ. ლარზე. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები. | | | |

| | |
|---|---|
| | 1) კოსტავას გამზირის ფასადების გაგრძელების რეაბილიტაცია.<br>2) ქალაქ რუსთავში ჩეხოვის ქუჩა #6-8-8ა-10 გრანელის ქუჩა #23-25 საცხოვრებელი სახლის დაზიანებული ფასადების და ქ. რუსთავში გრანელის ქუჩა #7-9-11 და გიორგაძის ქუჩა #8 ტკეჩისკედლებიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია შეიქმნას სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება კოსტავას ქუჩის დარჩენილი ნაწილის ფასადების სრული რეაბილიტაცია, შეღებვა, ფანჯრების და შესასვლელი კარებების შეცვლა და სხვა, ხოლო რაც შეეხება ჭყონდიდელის დასახლებაში არსებული დაზიანებულფასადიან შენობებს, პროექტის ფარგლებში მოხდება დაზიანებული კედლების აღდგენა, შელესვა და შეღებვა. პროგრამის განხორციელების შდეგად შექმნილი იქნება სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის, წახალისებული ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით, გაზრდილი ინვესტიციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 06 03 | | 2019 წელი | 66,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს, განსაკუთრებით რუსთავქალაქობის და საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები. მოირთვება თავისუფლების მოედანი, კოსტავას გამზირი 1-23 და 2-22 ნომერი შენობების აივნები,მერიიდან ხიდამდე ბოძების კონსტრუქციები,ხიდი, გონაშვილის სკვერი.გამყოფი ზოლი იუსტიციის სახლიდნ ქუთაისის მოედნამდე, თოდრიას ქუჩა, კლდიაშვილის ქუჩა, ჭყონდიდელის დსახლება, რუსთაველის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა,კოსტავას გამზირი მერიიდან მეტალურგიულ ქარხნამდე. ქვეპრგრმიას ფარგლებში დაფინანსდება :<br>ქალაქის ტერიტორიაზე საახალწლო ნათურების მონტაჟი.<br>ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები.<br>ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე საახალწლო დეკორატიული ილუსტრაციების მონტაჟი/დემონტაჟი,<br>სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ქალაქის გაფორმებას. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 07 01 | | 2019 წელი | 830,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება -" რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს " რუსთავის მინიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს" დაფინანსება. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ ტრანსპორტს, საიდანაც ხორციელდება საწარმოს ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ხელფასებს და საწვავს. რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოში მუშაობს 20 ავტობუს: №1 ავტობუსზე მუშაობს 3 ავტობუსი. №2 ავტობუსზე მუშაობს 3 ავტობუსი. №4 ავტობუსზე მუშაობს 3 ავტობუსი. №5 ავტობუსზე მუშაობს 4 ავტობუსი. №6 ავტობუსზე მუშაობს 2 ავტობუსი. №7 ავტობუსზე მუშაობს 4 ავტობუსი. ფოლადაანთ კარი 1 ავტობუსი. სულ დასაქმებულია 105 თანამშრომელი; აქედან 51 მღოლი, ავტოპარკს ემსახურება 30 თანამშრომელი და ადმინისტრაციაში არის 24 თანამშრომელი. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | შიდა საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია, რომელიც იქნება მიმართული ქალაქ რუსთავის მოსახლეობის კმაყოფილებისათვის. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექენა | დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 02 08 | | 2019 წელი | 356,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობების, გზების და სხვა ობიექტებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით მოხდება საპროექტო ფირმის შერჩევა, რომელიც 2019 წლის მანძილზე სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად დააპროექტებს ობიექტებს, რომლის შემდგომაც მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტები იქნება მზად და ფინანსების მოძიების შემდგომ უმოკლეს ვადებში მოხდება მათი განხორციელება | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 09 01 | | 2019 წელი | 450,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება დაქირავებული კომპანიის მიერ, შესრულებული სამუშოების(ფორმა N2) და საპროექტო სამუშოების (პროექტების-ხარჯთაღრიცხვების,ნახაზების) ინსპექტირება. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია სრულყოს პროექტების დამზადების პროცესი და მინიმუმადე იყოს დაყვანილი დაპროექტების სტადიაზე შესაძლო შეცდომები, რაც პროექტს მაქსიმალურად დააახლოებს არსებულ რეალობასთან, შემრულებელს გაუმარტივებს საქმეს და მინიმალური დანახარჯებით მოხდება პროექტების განხორციელება. ასევე შეამცირებს მზა პროექტებში ცვლილებების რაოდენობას. რაც შეეხება შესრულებული სამუშოების ინსპექტირებას, აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ექსპერტიზის ხარჯი | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 02 09 02 | | 2019 წელი | 70,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება სამხრაულის ექსპერტიზის მიერ შესრულებული სამუშოების (ფორმა N2) ექსპერტიზის ჩატარება | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია. | | | |

**2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალდ არის სამრეწველო ობიექტები, აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იძენს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; მწვანე საფარის ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის განვითარებისათვის, ამასთან ერთად

უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **5 183,1** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 3 566,0 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 1 484,5 |
| 03 03 | უპატრონო ცხოველების ოპერირება | 132,6 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 03 01 | | 2019 წელი | 3 566,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქალაქში კომფორტული გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. შესაბამისად საჭიროა ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება და ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან. არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების მოვლ-პატრონობა, რაც გულისხმობს დაახლოებით ყოველდღიურად 85 ტონა მოცულობის ნარჩენების გატანას,აღნიშნულ მომსახურებას ემსახურება 11 სპეც.მანქანა, ასევე ყოველდღიურად ხდება 1686700 კვ/მ ტერიტორიის დასუფთავება და შეგროვებული ნარჩენების გატანა შ.პ.ს "საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია"-ს ტერიტორიაზე. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ტექნიკური მარილის მოყრა სავალ პერიმეტრზე. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 368 თანამშრომელი და პროგრამა მოიცავს სამსახურის ფონქციონირებისათვის ყველა საჭირო ხარჯს. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | წლის განმავლობაში მოვლილი და დასუფთავებული ქალაქი, ყინვისა და თოვლის დროს უსაფრთხო გზები. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 03 02 | | 2019 წელი | 1 484,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქალაქის განვითარებისა და ეკოლოგიისთვის მნიშვნელოვანი როლი უკავია მწვანე საფარის მოვლა-პატრონობას. შესაბამისად აუცილებელია ყოველდღიურად მწვანე საფარის მოვლა, მორწყვა, განახლება, რაც გულისხმობს სეზონზე ხეებისა და ყვავილების დარგვას, ბალახის დათესვას , ხეების შეთეთრებას, მოჭრა-გადაბელვას. ხდება სარწყავი სისტემის ექსპლოატაცია. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 195 თანამშრომელი | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი. წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებს სარწყავი სისტემა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | უპატრონო ცხოველების ოპერირება | დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 03 04 | | 2019 წელი | 132,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანა, კასტრაცია-სტერილიზაციის მიზნით და ასევე ხდება ძაღლების მარკირება. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 13 თანამშრომელი | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უსაფრთხო გარემოს შექმნა | | | |

### 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვთა კვების რაციონს,ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ბაღების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **04 00** | **განათლება** | **8 164,2** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 7 400,0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 245,1 |
| 04 03 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა | 473,0 |
| 04 04 | საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია | 46,1 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 04 01 | | 2019 წელი | 7 400 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქალაქ რუსთავში ამჟამად ფუნქციონირებს 21 სააღმზრდელო დაწესებულება (ბაგა-ბაღი) ჩარიცხული 6490 აღსაზრდელით, რაც აკმაყოფილებს ქალაქში არებულ ბაგა-ბაღებში ჩასარიცხ მსურველთა (8200 ) 79% -ს (დასაკმაყოფილებელია 1700 -მდე აღსაზრდელი), ბაგა-ბაღებში 2-3 და 3-4 წლიანთა აღსაზრდელთა ჩარიცხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ელექტრონული წესით, ხოლო 4-5 და 5-6 წლიანების ჩარიცხვა (თავისუფალი ადგილების შემთხვევაში) - განცხადებით. ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მომსახურებას უწევს: 21 გამგე, 21 მენეჯერი, 21 ფსიქოლოგი, 4 ლოგოპედი, 8 სპეც პედაგოგი, 32 მუსიკის ხელმძღვანელი, 220 აღმზრდელი, 192 აღმზრდელის თანაშემწე და 278 სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექ პერსონალი. სულ დასაქმებულია 797 თანამშრომელი.<br>იგეგმება არსებულ შენობებში 7-მდე სააღმზრდელო ჯგუფის აღდგენა, ისარგებლებს დაახლოებით 250 აღსაზრდელი. | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა განვითარების სტანდარტის დანერგვა ასოცირდება ხარისხიან სკოლამდელ განვითარებასთან, რომელიც ითვალისწინებს აღმზრდელ-პედაგოგთა მაღალ პროფესიულ კომპეტენციებს, ახალ სტანდარტებზე დაყრდნობით შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებას, ყველა ტიპის ბავშვთა ჩართულობას. ბავშვთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს მთავრობის მიერ შემუშავებული სამართლებლივი დოკუმენტების მიხედვით. დაიწყო და ეტაპობრივად გაგრძელდება ბ/ბაღის გამგეების, აღმზრდელ-პადაგოგების და სხვა პერსონალის ტრენინგები ("ჰარტის" პროგრამა , "კივიტას გეორგიკას " პროგრამა). ხდება ტრენინგებზე მიღებულ ცოდნათა განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა. იგეგმება ჯგუფებში ფიზიკური გარემოს მოწყობა ახალი სტანართების მიხედვით.<br>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის მიზნით, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან იგეგმება აღსაზრდელთა კვების რაციონის გაზრდა დამტკიცებულ საშუალო ნორმამდე - 1151 გკალ, რაც მოითხოვს 1 ბ/დღის ღირებულების გაზრდას 1,80 ლარიდან 2,10 ლარამდე, საჭირო თანხის ხარჯვა მოხდება ბიუჯეტით ამ მუხლით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. ამ ქვეპროგრამის შედეგია ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 04 02 | | 2019 წელი | 245,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ასევე გამაგრება-გაძლიერების სამუშოები და შიდა ფართების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით ქალაქში ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, რომლეთანგან 2 სრულად რეაბილიტირებულია, დანარჩენი საჭიროებს რეაბილიტაციას სხვადასხვა მასშტაბით. 2017 წელს აშენდა ახალი 1 საბავშვო ბაღი. 2019 წლის ბიუჯეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ჯამური თანხა სავარაუდოდ შეადგენს 142.3 ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 102.0 ათ. ლარი. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები.<br>1) N36 ბაღში დარჩენილი ფანჯრების და ვიტრაჟების შეცვლა<br>2) N25 ბაგა-ბაღის გამაგრება-გაძლიერება-ორწლიანი ხელშეკრულება<br>3) N8 ბაგა-ბაღის გამაგრება-გაძლიერება-ორწლიანი ხელშეკრულება<br>4) 5 საბავშვო ბაღის შემოღობვის სამუშოები.<br>2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა ბაღების მოწყობა/რეაბილიტაცია. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში მოხდა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხოს, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლამდელ დაწესებულებებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება დამატებით სამი ბაღის გამაგრება/გაძლიერება და შიდა ფართის ნაწილის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებები გახდება ბევრად უსაფრთხო, კომფორტული და მიმზიდველი მოსწავლეებისათვის და მომსახურე პერსონალისთვის. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 04 03 | | 2019 წელი | 473,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“ | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ემსახურება ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულ, 2 წლიდან 33 წლამდე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი მომსახურებები:<br>- ადრეულ ასაკში (0-დან 7 წლამდე) მულტიდისციპლინური გუნდების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც–პედაგოგი), და სამედიცინო კომისიის (ნევროლოგი, თერაპევტი, ფიზიოექიმი) მიერ ხდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უნარებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, შესაბამისი მიმართულების მიცემა და მომსახურების შეთავაზება;<br>- 6 წლიდან 18 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სასკოლო ასაკში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა;<br>- 18 წლიდან 33 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, რისთვისაც ცენტრში ხდება ბენეფიციართა სხვადასხვა სახის შრომით თერაპიებში ჩართვა (ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფისთვია ფუნქციონირებს პურ-ფუნთუშეულის საცხობი, ინტეგრირებული სამზარეულო, სამრეცხაო ოთახი, მინი ბოსტანი)<br>ბენეფიციართა საეღო რაოდენობის 70 % სარგებლობს ცენტრის მომსახურების სრული პაკეტით მთელი დღის განმავლობაში და მათთვის გათავლისწინებულია ორჯერადი კვება<br>აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება 67 თანაშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი - 7 თანამშრომელი, პედაგოგი - 16 თანამშრომელი, სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, სხვადასხვა პროფესიის თერაპევტები) - 20 თანამშრომელი, დამხმარე პერსონალი - 24 თანამშრომელი (მათ შორის დასაქმებულია ცენტრის ყოფილი 2 ბენეფიციარი) |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | საზოგედოებაში ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 04 04 | | 2019 წელი | 46,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლების შენობების და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია. სკოლებში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორები წარმოადგენენ მათთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარების პროექტებს, რომელთა შერჩევა მოხდება პრიორიტეტულობის მიხედვით და განხორციელდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.<br>N7 სკოლის შემოღობვის რეაბილიტაცია | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლის შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხოს, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლებს. კომფორტული გარემო ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ჰარმონიული განვითარებას. | | | |

## 4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენებისა და ხელოვანების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|

| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 7 361,7 |
|---|---|---|
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 3 159,3 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1 045,6 |
| 05 01 02 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 821,8 |
| 05 01 03 | სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 1 291,9 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 3 811,2 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 3 135,6 |
| 05 02 01 01 | სახელოვნებო განათლების დაფინანსება | 1 721,4 |
| 05 02 01 02 | თეატრის ხელშეწყობა | 812,0 |
| 05 02 01 03 | მუზეუმის ხელშეწყობა | 270,0 |
| 05 02 01 04 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 332,2 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების განხორციელება | 665,6 |
| 05 02 03 | კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0,0 |
| 05 02 04 | რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა | 10,0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 391,2 |
| 05 03 01 | ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები | 291,2 |
| 05 03 02 | ინიციატივების თანადაფინანსება | 100,0 |

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">რაგბის კლუბის ხელშეწყობა</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td>05 01 01 01</td><td>2019 წელი</td><td>345,6</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">ააიპ რაგბის კლუბი ,,რუსთავის ხარები"</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა</td><td colspan="4">პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ რაგბის კლუბი ,,რუსთავის ხარები"-ს დაფინანსება რუსთავის მუნიციპალიტეტიდან.თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა ააიპ რაგბის კლუბი,,რუსთავის ხარები"-ს, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ააიპ რაგბის კლუბი "რუსთავის ხარები" ს მორაგბეების, ადმინისტრაციის და მწვრთნელების ხელფასს</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="4">ააიპ რაგბის კლუბი ,,რუსთავის ხარები"-ს წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td>05 01 02 02</td><td>2019 წელი</td><td>700,0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"-ის დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით., საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება.<br>სუბსიდიის თანხები ხმარდება კალათბურთელთა და მწვრთნელთა ხელფასებს, გუნდის შეკრებებს და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელ სხვა ხარჯებს, ასევე შპს-ს ადმინისტრაციის პერსონალის ხელფასს და ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საოფისე ხარჯებს. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ტურნირებში, ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება (2018წელში დაიკავა მე-4 ადგილი, 2019წელში მიზანს წარმოადგენს საპრიზო სამეულში მოხვედრა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 2019 წელი | 821,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "სახელვენებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ცენტრი გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში<br>ცენტრი გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას<br>ცენტრი უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 23 სპორტის სახეობის მიმართულებით 10 სპორტულ ობიექტზე 71 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (12 დან - 25 წლამდე)1600 ბენეფიციარს<br>ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას , როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით მოყვარულების და სპორტსმენების მეტი რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა ღონისძიებებში, ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სპორტის სახეობების მიამრთულებით<br>სპრტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა, საჭირო სპორტული ინვენტარის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 01 03 | | 2019 წელი | 1 291,9 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტული მოედნები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე მინი სპორტული მოედნები მოწყობა, ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები.<br>1) მესხიშვილის N16-ის და ლეონიძის N12,14 კორპუსებს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია<br>2) მეგობრობის N2-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა.<br>3) მეგობრობის N10-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა.<br>4) თბილისის N2-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა<br>5) თოდრიის III ჩიხის N1 მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია<br>6) მეგობრობის N35-37 კორპუსებთან მინი სპორტული მოედნის მოწყობა<br>7) მესხიშვილის N11-13 კორპუსებთან მინი სპორტული მოედნის მოწყობა<br>8) ფიროსმანისა და კომუნალების ქუჩების კვეთაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია<br>9) ტაშკენტის N5-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა<br>10) დონეცკ. მეტალურგთა I გასასვლ|ის N3-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. | | | |

| | |
|---|---|
| | 11) XXI მიკრორაიონის N3 საცხოვრებელი კორპუსის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია<br>12) კოსტავას N21 მ/ტ-ზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა.<br>13) მშენებელთა ქუჩა N28-30 და გომელაურის ქუჩა N1-3 საცხოვრებელი კორპუსებს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა.<br>14) XI მიკრორაიონის N1 საცხოვრებელი კორპუსის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია<br>15) ნიკალაძის ქუჩის მიმდებარეთ მინი სპორტული მოედანის მოწყობა<br>16) კულტურისა და დასვენბის პარკში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა-ახლის მოწყობა.<br>17) რუსთაველის N50-ში მრავალფუნქციური მოედანი-ახლის მოწყობა.<br>18) დარჩენილი დაუსრულებელი სამი სტადიონის მოწყობა/რეაბილიტაცია<br>19) კრივის დარბაზის რეაბილიტაცია<br>2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინსნსებით მოხდება სხვა მისამართებზე სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში აღდგენილ იქნება 8 და ახლად მოწყობილი 11 სპორტული მოედანი და 1 სპორტულ გამაჯანსაღებელი კუთხე. ასევე რეაბილიტირდება კრივის დარბაზი. შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო ახალგაზრდებისთვის, სადაც შეძლებენ დაკავდნენ სპორტის რამდენიმე სახეობით. მოიმატებს სპორტით დაინტერესებული მომავალი თაობის რაოდენობა და დაინერგება ჯანსაღი ცხოვრების წესი ახალგაზრდებში. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახელოვნებო განათლების დაფიანანსება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 01 | | 2019 წელი | 1 721,4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "სახელევნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრი სახელოვნებოს განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს 5 სახელოვნებო სკოლაში, შესაბამისი ადმინისტრაციით და 159 პედაგოგის მეშვეობით 1300 სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარისთვის.<br>ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ<br>ცენტრი წლის განმავლობაში გეგმავს და ახორცილებს ღონისძიებებს სახელოვნებო მიმართულების, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სახელოვნებო სკოლების ბენეფიციარები | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სახელოვნებო სკოლების ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა და მათი შესაბამისი ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, ცენტრის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | თეატრის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 02 | | 2019 წელი | 812,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირი "გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირი "გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი" პროგრამის ფარგლებში ახორციელებს 4 სარეპერტუარო (3 დრამატული და 1 საბავშვო სპექტაკლი) სპექტაკლის დადგმას,ასევე თეატრალური ფორუმის დაფუძნებას (2020 წლისთვის თეატრალური ფორუმისთვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება),აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება 92 ადამიანი, აქედან 40 მსახიობი და 52 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | საქართველოს რუკაზე რუსთავის თეატრის ლიდერული პოზიციონირება, როგორც ერთ-ერთი საინტერესო, მაღალპროფესიული და ნოვატრული თეატრის, პოპულარიზაციის შედეგად გაზრდილი მაყურებლის რაოდენობა, ასევე ფორუმი გაართიანებს მენეჯმენტისა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროებს. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუზეუმის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 03 | | 2019 წელი | 270,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ "რუსთავის ისტორიული მუზეუმი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | მუზეუმი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, დაცულია 35 000 ექსპონატი, იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს რუსთავის, ქვემო ქართლის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 27 თანამშრომელი, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას არაფაორმალური განათლების გაცემის გზით, აწყობს დროებით გამოფენებს. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია იკვლევს და შეისწავლის რუსთავის ციხე-ქალაქის კომპლექს, რითაც ამდიდრებს მუზეუმის ფონდებს. მუზეუმი საქმიანობას ეფუძნება ქვეპროგრამებს:<br>1. ფონდებისა და სამეცნიერო - საგანმანათლებლო საქმეების მართვის პროგრამა: აღრიცხავს, იცავს, იკვლევს პუბლიკაციისა და გამოფენებისათვის ამზადებს მუზეუმში დაცულ ექსპონატებს.<br>2. საგამოფენო და საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროგრამა - ამზადებს გამოფენებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს, ემსახურება ვიზიტორებს.<br>3. არქეოლოგიური პროგრამა - აწარმოებს რუსთავის ციხე - ქალაქის არქეოლოგიურ კვლევსას, მოვლა- დაცვას.<br>4. არქივისა და ბიბლიოთეკის მართვის პროგრამა - იცავს და იკვლევს საარქივო დოკუმენტაციას, ემსახურება ბიბლიოთეკას. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დაცული და მოვლილი კულტურული მემკვიდრეობა; შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების გზით არაფორმალური განათლების გავრცელება საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ქალაქისა და საქართველოს ისტორიით, ზოგადი ცოდნით განათლებული მოსწავლე-ახალგაზრდობა, თანამედროვე ხელოვნების არტისტების პოპულარიზაცია (დროებითი გამოფენების მეშვეობით); გაზრდილი ვიზიტორები და ეკონომიური სარგებელი, გამოცემული სამეცნიერო და სამეცნიერო- საგანმანათლებლო ლიტერატურა, სამუზეუმო საქმის, ქალაქის ისტორიისა და კულტურის მიღწევების განვრცობა და პოპულარიზაცია საზოგადოების ფართო ფენებში. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 04 | | 2019 წელი | 332,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | საბიბლიოთეკო გაერთიანება შედგება ერთი მთავარი - ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთკისგან და ოთხი ფილიალისგან: N1 ფილიალი შ.რუსთაველის სახ. საქალაქო ბიბლიოთეკა, N2 ფილიალი საბავშვო ბიბლიოთეკა ნაკადული, N3 ფილიალი ნ. ბარათაშვილიდ სახ. საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა, N4 ფილიალი ი. გოგებაშვილის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი შეადგენს 167 448 ეგზემპლარს. დასაქმებულია 51 თანამშრომელი რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს, წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, ერთად კითხვის საღამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენებს.<br>15 თანამშრომელი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მუშაობის შედეგებს, ღონისძიებების შემუშავებასა და კონტროლს. ახორციელებენ მკითხველის ინტერესების მონიტორინგს. თანამშრომლების ჩართულობას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. საზოგადოების ჩართულობას ლიტერატურულ, საგანმანათლებლო და მხატვრულ ღონისძიებებში. ელეტრონული კატალოგის დამუშავებას. სტატისტიკურ ანგარიშს ბიბლიოგრაფიული კალენდრის მიხედვით გაწერილი ღონისძიებების კონტროლსა და ჩატარების მაღალპროფესიულობას.<br>20 თანამშრომელი უშუალოდ მუშაობს ინდივიდუალურად ქალაქის წიგნიერ საზოგადოების ჩართულობაზე, მკითხველების სწრაფ და ხარისხიან მომსახურებაზე, მათი ინტერესების შესწავლას, პრაქტიკულ დახმარებას ახორციელებს წიგნადი ფონდის კატალოგიზაციის პროცესს, საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის დამუშავებას, ხელმისაწვდომობას მკითხველისათვის.<br>9 თანამშრომელი ახორციელებს კლუბური მუშაობის დანერგვაზე, მონიტორინგს ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. პრეზენტაციებისა და ლექციური კურსის ჩატარებას კულტურულ აღმზრდელობითი განვითარების ხელშესაწყობად. ამერიკის საელჩოს მიერ მემორანდუმის საუძველზე ბიბლიოთეკასთან არსებული ამერიკული კუთხე - მუშაობს ინგლისური ლიტერატურის პროპაგანდას და ამერიკის თანამედროვე სტანდარტების გაზიარება, გაცნობა და დანერგვაზე.<br>3 ადამიანი ახორციელებს ბუღალტრული მატრეიალურ ტექნიკური, შესყიდვების საქმიანობას, კონტროლს, ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ბრძანებზებისა და შიდა დოკუმენტაციის რეესტრს. | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ფონდების ორგანიზება ქართული და უცხოური წიგნებით, მონაცემთა ბაზების შექმნა. საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდების დანერგვა. ქალაქის მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებზე გათვლილი ღონისძიებები და კლუბური მუშაობების უზრუნველყოფა. ქალაქის მაცხოვრებლების ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და საკოლო ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება. განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ღონისძიებების განხორციელება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 02 | | 2019 წელი | 665,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "სახელევნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ცენტრი გეგმავს და ახორციელებს საქალაქო კულტურულ ღონისძიებებს, ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია კულტურული ღონისძიებები ხასიათდებოდეს მაქსიმალური ეკლექტურობით და მეტად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული), ასევე ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მეტი ინტერესთა ჯგუფის და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით მათთან შეხვედრების ორგანიზება, ასევე ღონისძიებების აუდიტორიის გაზრდა მათი ინფორმირებულობის ამაღლების გზით | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძებები | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 03 01 | | 2019 წელი | 291,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "სახელევნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ცენტრი გეგმავს და ახორციელებს პროექტებს ახალგაზრდული შემდეგი მიმართულებით - არაფორმალური განათლება (მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე 13 პედაგოგი), გართობა - დასვენება, მონაწილეობა - ახალგაზრდობის ჩართულობა საქალაქო საქმიანობაში | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა, ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინება და ახალგაზრდებთან ანგარიშვალდებულების გაზრდა | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტების თანადაფინანსების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 03 02 | | 2019 წელი | 100,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე ), რომელმაც მოიპოვა პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამისი დაფინანსება „დონორის“ მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც „დონორის“ დაფინანსებით ქალაქ რუსთავში ახორციელებს ამ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამის პროექტს. პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქ რუსთავში განსახორციელებული ახალგაზრდა ინიციატორებისა ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების თანადაფინანსებას. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | რუსთავში არასამთავრობო სექტორის ჩართულობით ახალგაზრდების გააქტიურება. | | | |

**5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **3 870,6** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 293,0 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 293,0 |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 3 577,6 |
| 06 02 01 | მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება | 1 065,0 |
| 06 02 02 | სარიტუალო მომსახურებები | 5,6 |
| 06 02 03 | შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე | 80,0 |
| 06 02 04 | შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე | 292,0 |
| 06 02 05 | ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები | 690,0 |
| 06 02 06 | უხუცეს მოქალაქეთა დახმარება | 1,5 |
| 06 02 07 | რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა | 430,0 |
| 06 02 08 | მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება | 205,0 |
| 06 02 09 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 300,0 |
| 06 02 10 | საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება | 21,5 |
| 06 02 11 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება | 321,0 |
| 06 02 12 | სტუდენტთა სოციალური დახმარება | 80,0 |
| 06 02 13 | სოციალური დახმარებების პროგრამა | 40,0 |
| 06 02 14 | სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა | 6,0 |
| 06 02 15 | დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა | 40,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | 2019 წელი | 293,0 |

| | |
|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი |
| პროგრამის აღწერა | ააიპ ქ.რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრში დასაქმებულიაა 42 თანამშრომელი. ცენტრი სტრუქტურა მოიცავს 2 დეპარტამენტს: მონიტორინგის და ადმინისტრაციის დეპარტამენტი და ეპიდზედამხედველობის დეპარტამენტი. სამსახურრი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:<br>1. ეპიდზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიება<br>2. მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიება<br>3. ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიება<br>4. მალარიის ელიმინაციის ღონისძიება<br>5. რუსთავის საცხოვრებელი ბინების დერატიზაცია<br>6. სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიება<br>7. ქალაქ რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლების და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიება |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 01 | | 2019 წელი | 1 065,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობის, მრავალშვილიანი ოჯახების და შშმ პირების ყოველდღიურად ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს 1900 ბენეფიციარი. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მინიმალური საკვებით უზრუნველყოფა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ვეტერანების სარიტუალო მომსახურეობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 02 01 | | 2019 წელი | 3,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) "სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ოჯახები. პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯების დაფარვა. რუსთავში მცხოვრები დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისათვის დაკრძალვის ხარჯების დაფარვა. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | სარიტუალო მომსახურეობით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მარტოხელა სოციალურად დაუცველთა სარიტუალო მომსახურეობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 02 02 | | 2019 წელი | 2,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა მიზნად ისახავს, ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანები |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შეღავათები სასმელი წყლის გადასახადზე | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 03 | | 2019 წელი | 80,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ, ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება (შემდგომში "ბენეფიციარი") | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესება. რუსთავში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის წყლის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა და მათი სოციალური მფომარეობის გაუმჯობესება. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველ პირთა შეღავარები მუნიციპალურ ტრანსპორტზე | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 04 01 | | 2019 წელი | 200,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-ს არ აჭარბებს და რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამის შესაბამისად შეღავათი გულისხმობს ბენეფიციარისათვის თვეში 60-ერ უფასო მგზავრობას | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | უფასო მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 04 02 | | 2019 წელი | 27,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). და შესაბამისი უწყების მიერ მიღებული აქვთ ვეტერანის მოწმობა (სტატუსი) და ფიქსირდებიან სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში. პროგრამის შესაბამისად შეღავათი გულისხმობს ვეტერანებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე ბენეფიციარისათვის თვეში 60-ჯერ უფასო მგზავრობას. |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები ვეტერანებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი გადაადგილება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 04 03 | | 2019 წელი | 60,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამით მოსარგებლეთა ჯგუფს წარმოადგენს სსიპ ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ა(ა)იპ რუსთავის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვიტარების ცენტრის“, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების“, ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“, ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“, ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“, ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი" თანამშრომლები.<br>პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ზოგიერთი სსიპ-ისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომელთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე ) შეღავათის დაწესება. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | რუსთავში მცხოვრები ააიპ და სსიპ თანამშრომლებისათის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 04 04 | | 2019 წელი | 5,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტატუსით „უსინათლო“ პირები, რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).<br>პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სტატუსით "უსინათლო") პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამის შესაბამისად შეღავათი გულისხმობს ბენეფიციარისათვის თვეში 60-ჯერ უფასო მგზავრობას | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | უფასო მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსარგებლე პირები. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურეობის დაფარვა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 05 01 | | 2019 წელი | 32,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი მებრძოლების (ვეტერანი) ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კომუნალური გადასახადების დაფარვა (გაზი, ელ. ენერგია). პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფილი ვეტერანები |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მინდობითი ოჯახების კომუნალური მომსახურეობის დაფარვა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 05 02 | | 2019 წელი | 17,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში ქალაქ რუსთავში მცხოვრები ბავშვის მინდობით აღზრდაში მიმღები ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). რეგისტრაციასთან დაკავშირებული შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ იმ ოჯახზე, რომელიც ბავშვს იღებს მინდობით აღზრდაში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბავშვის მინდობით აღზრდაში მიმღები ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), ბავშვის მინდობით აღზრდაში მიმღები ოჯახების მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილნი იქნებიან მათთვის საჭირო ბუნებრივი აირითა და ელექტრო ენერგიით. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ოპერაციული მკურნალობის მომსახურეობის დაფარვა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 05 03 | | 2019 წელი | 600,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ის მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კარდიოქირურგიული და გეგმიური ქიროგიული სამედიცინო მომსახურება, კომპიუტერული გამოკვლევები 0-70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, პრევენციის შდეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | C ჰეპატიტით დაავადებულთა სემედიცინო კვლევის დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 05 05 | | 2019 წელი | 30,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000 -ს და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტი ფარავს მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი თანხის სრულ ოდენობას, ხოლო დანარჩენ კატეგორიას მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ნახევარს. | | | |

| | |
|---|---|
| | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის" მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა. |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | C ჰეპატიტის ელიმინაცია საქართველოში და რუსთავში ამ ვირუსით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობის შემცირება და ახალი შემთხვევების პრევენცია. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 05 06 | | 2019 წელი | 10,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ბავშვისთვის მოითხოვება მხოლოდ აქტირი რეგისტრაციის სტატუსი. ამ პროგრამის მიზნებისთვის რეიტეგრირებული ბავშვი გულისხმობს 1-დან 18 წლამდე ბავშვს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფილნი იქნებიან ბუნებრივი აირითა და ელექტრო ენერგიით. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | უხუცეს მოქალაქეთა დახმარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 06 | | 2019 წელი | 1,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები ასი წლის და ას წელს გადაცილებული უხუცესი მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების ერთჯერადი მატერიალური დახმარება წელიწადში 300 ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 07 | | 2019 წელი | 430,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რუსთავის მოხუცებულთა სახლი" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ააიპ რუსთავის მოხუცებულთა სახლის პროგრამა გათვლილია სოციალურად დაუცველ, მზრუნველობა მოკლებულ 50 ბენეფიციარზე. ამ პროგრამის განხორციელებას ემსახურება 35 თანამშრომელი მათ შორის: სამედიცინო პერსონალი, მომვლელები, მზარეულები და ადმინისტრაცია. აღნიშნული პერსონალის მიერ 24 საათის განმავლობაში ხდება ბენეფიციარების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, კვებით უზრუნველყოფა და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ხდება მათი გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება დაწესებულების ბიუჯეტის მიერ. | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მარტოხელა და სოციალურად დაუცველი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცებისათვის მყუდრო გარემოს უზრუნველყოფა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 08 | | 2019 წელი | 205,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქ.რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) სოციალურად დაუცველი (0-დან 70 001-მდე ქულის მქონე) მოქალაქეები და შშმ პირები, რომელთა მედიკამენტების შესაძენად წელიწადში გათვალისწინებულია არაუმეტეს 100(ასი) ლარისა. ასევე, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების და მოზარდების უზრუნველყოფა გლუკომეტრების ტესტ-ჩხირებით, კვარტალში არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქ.რუსთავში მოსახლეობის მედიკამენტებით ხელმისაწვდომობის გაზრდა, დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს ზემოთ საჭირო ტესტ-ჩხირებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 09 | | 2019 წელი | 300,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი. პროგრამით დადგენილი არაუმეტეს 1 წლიანი რეგისტრაცია (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მოეთხოვება მშობელს (განმცხადებელს), ხოლო პროგრამის ბენეფიციარებს (მათ შვილებს) მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. მატერიალური დახმარება გაიცემა 18 (თვრამეტი) წელს მიუღწეველი შვილების რაოდენობის გათვალისწინებით. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაწევა. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 10 01 | | 2019 წელი | 5,7 |
| ქვეპროგრამის მახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების (13 ვეტერანი) 9 მაისსა და გათნაბრებულ პირთა (47 გათანაბრებული) 27 სექტემბერს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირების პროგრამის ლიმიტით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფა | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 10 02 | | 2019 წელი | 15,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) დაღუპულთა ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. პროგრამით მოსარგებლე თითოეული ოჯახი მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 150 ლარის ოდენობით. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი დე შედეგი | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური თანადგომა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 11 01 | | 2019 წელი | 220,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ბენეფიციარები, რომელთაც დადგენილი აქვთ ICD-10-ით განსაზღვრული შემდეგი კლასიფიკატორები - G80, Q90 და R62 წლიურად ფინანსდებიან არაუმეტეს-- 600 ლარით. ხოლო ის ბენეფიციარები, რომელთაც დადგენილი აქვთ ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი - F84, წელიწადში ფინანსდებიან არაუმეტეს 1000 ლარით.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვების (შემდგომში - ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სოციალური, შემეცნებითი, თვითმოვლის, ფიზიკური და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა სტიმულირების, თვითმოვლის, შემეცნების, მოტორიკის, ფიზიკური და კომუნიკაციური უნარების შეძენა. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 11 02 | | 2019 წელი | 93,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა, ასევე 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს და რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო და ამასთან დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.<br>პროგრამის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კომუნალურ გადასახადებზე (გაზი, ელ. ენერგია) შეღავათის დაწესება.<br>პროგრამით მოსარგებლე თითოეული ბენეფიციარის ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა;<br>ა) ბუნებრივი აირით სარგებლობისათვის – 240 ლარი;<br>ბ)ელექტრო ენერგიით სარგებლობისათვის – 240 ლარი; | | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილნი იქნებიან მათთვის საჭირო ბუნებრივი აირით და ელ. ენერგიით. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მკვეთრად შშმპ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლები | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 11 03 | | 2019 წელი | 7,4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის" მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ესაჭიროებათ ტოტალურ უსინათლოთა გადაადგილება გამცილებლის მეშვეობით: სამედიცინო დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში.<br>პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ტოტალურ უსინათლთა უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით. | | | |
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლთა უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სტუდენტთა სოციალური დახმარება | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 12 | | 2019 წელი | 80,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის სოციალური დახმარების გაცემას:<br>1) მატერიალური წახალისება (მგზავრობის დაფინანსება);<br>მატერიალურ წახალისება გულისხმობს თვეში არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით მგზავრობის ღირებულების გადასახადს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტებისათვის, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და:<br>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;<br>ბ) არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს;<br>გ) არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;<br>დ) არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს.<br>2) სწავლის საფასურის დაფარვაში ხელშეწყობა.<br>სწავლის საფასურის დაფარვა გულისხმოს არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით სწავლის საფასურის გადახდას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტებისათვის, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და:<br>ა)სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;<br>ბ)არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;<br>გ)არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.<br>დ)არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;<br>ე) სტუდენტები, რომელთა ოჯახები არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ან მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 100 000-ს. | | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი მიზანი და შედეგი | პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული სტუდენტების მატერიალური დახმარებით წახალისება ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა. |

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">სოციალური ღონისძიებების პროგრამა</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td>06 02 13</td><td>2019 წელი</td><td>40,0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა</td><td colspan="4">მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს); დღის ცენტრი და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ბენეფიციარები, დღის ცენტრი „საპოვნელას“ ბენეფიციარები; შპს „მუნიციპალური მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარები“; ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ ბენეფიციარები; ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები; 2004 წლის აგვისტოს თვეში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული რუსთაველი მებრძოლების ოჯახები (მცხოვრები და რეგისტრირებული). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახები (რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული). პროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე პირების სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ნივთებითა და ტკბილეულით დასაჩუქრება. 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 1 ივნისი-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და შობა-ახალ წელთან დაკავშირებით საჩუქრების შეძენა -გადაცემა.</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი მიზანი და შედეგი</td><td colspan="4">პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და სადღესასწაულო წახალისება.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეყწობის პროგრამა</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td>06 02 14</td><td>2019 წელი</td><td>6,0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის მახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა</td><td colspan="4">პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქ რუსთავის მცხოვრები რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას ფინანსურ დახმარებას წელიწადში არაუმეტეს 1200,00 (ერთი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. პროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში სულ მცირე 2 წელი გაატარეს. პროგრამა განკუთვნილია 18-24 წლის ახალგაზრდებისათვის.</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი მიზანი და შედეგი</td><td colspan="4">პროგრამის ბენეფიციარების ხელშეწყობა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. მათი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისუზრუნველყოფა.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა</td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td>06 02 15</td><td>2019 წელი</td><td>40,0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="4">ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა</td><td colspan="4">ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების (შემდგომში - ბენეფიციარი) ტრანსპორტის ხარჯების შემცირების მიზნით დახმარებას (ყოველთვიური მატერიალური დახმარება). დახმარება მოიცავს თვეში 60,00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი მიზანი და შედეგი</td><td colspan="4">ქვეპროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთვში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარბისთვის დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით დადგენილი მომსახურების უწყვეტად მისაღებად ტრანსპორტის ხარჯების შემსუბუქება.</td></tr>
</table>

## 6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსების, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის ხარჯებსა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებას.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2019 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **7 817,2** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 6 343,7 |
| 01 01 01 | ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1 537,5 |
| 01 01 02 | ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია | 4 372,8 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 293,0 |
| 01 01 04 | საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა | 140,4 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 1 473,5 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 300,0 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 2,0 |
| 01 02 03 | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა | 976,5 |
| 01 02 04 | მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა | 95,0 |
| 01 02 05 | ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა | 50,0 |
| 01 02 06 | მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა | 20,0 |
| 01 02 07 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 30,0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 04 | | 2019 წელი | 95,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "ქ.რუსთავის მუნიციპალური არქივი" | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | მუნიციპალური საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით, მისი აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა. საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფა, კონსერვაცია, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია. განსაზღვროს მუნიციპალური საარქივო ფონდის დოკუმენტების სახეობებისა და ნაირსახეობის შემადგენლობა, შეიმუშაოს დაწესებულებათა ტიპობრივი დოკუმენტების ნუსხა მათი შენახვის ვადების მითითებით, განახორციელოს მუნიციპალურ არქივში განთავსებული საარქივო დოკუმენტების დაცვა, მათი შენახვის პირობების მონიტორინგისა და ოპტიმიზაციის ღონისძიებები, აწარმოოს საარქივო ფონდის სპეციალური ტექნიკური დამუშავების სამუშაოთა კომპლექსი მათი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური დაცვისათვის (კონსერვაცია, რესტავრაცია, დეზინფექცია, დეზინსექცია და ა.შ)<br>ქ.რუსთავის მუნიციპალური არქივის მომსახურების არეალი მოიცავს ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოსა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების საარქივო დოკუმენტაციის დამუშავება-შენახვას და მომსახურებას.<br>მუნიციპალურ არქივში დაცულია დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ქ.რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელებულ პრივატიზაციას(საცხოვრებელი ბინის ორდერებს, პრივატიზაციისა და გასხვისების ხელშეკრულებებს, ლეგალიზაციის მასალებს, საბაღე მიწის ნაკვეთებს და სხვა).<br>მუნიციპალური არქივის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია 8 ერთეულით, რომელთა ძირითად საქმიანობას შეადგენს საარქივო ფონდის მუდმივი განახლება - შევსება და მიღებული დოკუმენტაციის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება,აღწერა,აღრიცხვა,დაცვა-შენახვა და გამოყენება. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | საარქივო ფონდის მუდმივი განახლება,სრულყოფა და საარქივო ფონდის მოცულობის გაზრდის საფუძველზე, ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ქვემო ქართლის რეგიონელი განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 01 08 01 | | 2019 წელი | 50 000,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – "ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო იძიებს პოტენციურ ინვესტორებს რეგიონში არსებული ბიზნეს ინტერესების შესაბამისად და ახდენს მათ დაკავშირებას რეგიონის მაშტაბით ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ბიზნეს სექტორთან. ადგილობრივი და რეგიონული გამოფენების ორგანიზება რეგიონის პოტენციალის თვალსაჩინოებისთვის. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიზანია მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ განვითარებას, ინვესტიციების წახალისებას, არსებული მცირე და საშუალო საწარმოების და დამწყები მეწარმეების დაკავშირების გზით.<br>სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებული ქვემო ქართლის რეგიონი. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 06 | | 2019 წელი | 20,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 2018 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული და სხვა პროექტების შეფასება, 2019 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის შეფასება და 2020 წლის დასაგეგმი ბიუჯეტის პრიორიტეტები. გამოკითხვის შესაბამისად მოხდება მიმდინარე და მომავალი წლების ბიუჯეტების დაგეგმარება აღსრულება. | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქალაქ რუსთავის ბიუჯეტი რომელშიც მაქსიმალურად იქნება ასახული მოსახლეობის ყველა ინტერესი, ასაკობრივი ყველა ინტერესთა ჯგუფის მიხედვით. | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა | დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 01 02 07 | | 2019 წელი | 30,0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ქალაქ რუსთავის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული–აპარატი |
| ქვეპროგრამის აღწერა | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებულია ქალების ცნობიერების ამაღლება. მეწარმე ქალთა გაძლიერება, ქალთა ჩართულობის ზრდა და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების გამოვლენა.საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობისა და გაძლიერების ხელშეწყობა. |

**მუხლი 14. ბიუჯეტის პროგრამების შედეგები და ინდიკატორები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების მიზნები, შედეგები და ინდიკატორები დანართის სახით (დანართით წარმოდგენილი მასალა ატარებს ინფორმაციულ ხასიათს).

**მუხლი 15. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

| პროგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| სულ | ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები | 40 355,4 | 47 353,7 | 41 923,5 | 41 020,1 | 903,4 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2 728 | 2 577 | 2 664 | 2 610 | 54 |
| | ხარჯები | 30 181,1 | 31 968,0 | 35 757,7 | 35 187,0 | 570,7 |
| | შრომის ანაზღაურება | 3 540,0 | 3 778,0 | 14 018,4 | 13 739,2 | 279,2 |
| | საქონელი და მომსახურება | 3 060,6 | 3 484,1 | 13 180,5 | 12 897,7 | 282,8 |
| | პროცენტი | 294,5 | 326,8 | 165,1 | 165,1 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 17 854,9 | 18 799,6 | 1 975,6 | 1 975,6 | 0,0 |
| | გრანტები | 3,3 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 2 541,9 | 2 950,9 | 3 208,7 | 3 202,5 | 6,2 |
| | სხვა ხარჯები | 2 885,8 | 2 624,5 | 3 205,4 | 3 202,9 | 2,5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8 095,8 | 14 602,0 | 5 354,4 | 5 021,7 | 332,7 |
| | ვალდებულებების კლება | 2 078,6 | 783,8 | 811,4 | 811,4 | 0,0 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 7 005,5 | 7 638,3 | 7 817,2 | 7 524,2 | 293,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 344 | 318 | 318 | 303 | 15 |
| | ხარჯები | 6 142,1 | 6 644,0 | 6 967,2 | 6 682,1 | 285,1 |
| | შრომის ანაზღაურება | 3 540,0 | 3 778,0 | 4 215,1 | 4 003,3 | 211,8 |
| | საქონელი და მომსახურება | 1 822,0 | 2 233,7 | 2 480,0 | 2 409,4 | 70,6 |

| პროგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | პროცენტი | 294,5 | 326,8 | 165,1 | 165,1 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 399,7 | 141,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | გრანტები | 3,3 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 64,1 | 112,0 | 44,7 | 42,0 | 2,7 |
| | სხვა ხარჯები | 18,4 | 48,5 | 58,3 | 58,3 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 39,3 | 210,5 | 38,6 | 30,7 | 7,9 |
| | ვალდებულებების კლება | 824,1 | 783,8 | 811,4 | 811,4 | 0,0 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 5 442,2 | 5 874,6 | 6 343,7 | 6 050,7 | 293,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 301 | 300 | 300 | 285 | 15 |
| | ხარჯები | 5 304,8 | 5 821,1 | 6 305,1 | 6 020,0 | 285,1 |
| | შრომის ანაზღაურება | 3 540,0 | 3 778,0 | 4 102,3 | 3 890,5 | 211,8 |
| | საქონელი და მომსახურება | 1 688,0 | 1 880,6 | 2 099,8 | 2 029,2 | 70,6 |
| | გრანტები | 3,3 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 64,1 | 112,0 | 42,7 | 40,0 | 2,7 |
| | სხვა ხარჯები | 9,3 | 46,5 | 56,3 | 56,3 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 30,5 | 53,5 | 38,6 | 30,7 | 7,9 |
| | ვალდებულებების კლება | 106,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 01 01 | ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1 139,8 | 1 325,1 | 1 537,5 | 1 537,5 | 0,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 54 | 60 | 60 | 60 | |
| | ხარჯები | 1 117,3 | 1 319,2 | 1 520,8 | 1 520,8 | 0,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 824,3 | 951,0 | 1 068,0 | 1 068,0 | 0,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 281,7 | 286,6 | 393,5 | 393,5 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 7,1 | 46,0 | 15,0 | 15,0 | 0,0 |
| | სხვა ხარჯები | 4,2 | 35,5 | 44,3 | 44,3 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,4 | 5,9 | 16,7 | 16,7 | 0,0 |
| | ვალდებულებების კლება | 20,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 01 02 | ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია | 4 065,1 | 4 262,3 | 4 372,8 | 4 372,8 | 0,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 230 | 225 | 225 | 225 | |
| | ხარჯები | 3 956,3 | 4 222,9 | 4 358,8 | 4 358,8 | 0,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 2 534,6 | 2 632,0 | 2 822,5 | 2 822,5 | 0,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 1 356,6 | 1 511,9 | 1 495,3 | 1 495,3 | 0,0 |
| | გრანტები | 3,3 | 4,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 |

| პროგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 56,7 | 64,0 | 25,0 | 25,0 | 0,0 |
| | სხვა ხარჯები | 5,1 | 11,0 | 12,0 | 12,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 23,4 | 39,4 | 14,0 | 14,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების კლება | 85,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 237,3 | 267,2 | 293,0 | 0,0 | 293,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 17 | 15 | 15 | | 15 |
| | ხარჯები | 231,2 | 259,1 | 285,1 | 0,0 | 285,1 |
| | შრომის ანაზღაურება | 181,0 | 195,0 | 211,8 | 0,0 | 211,8 |
| | საქონელი და მომსახურება | 49,7 | 62,1 | 70,6 | 0,0 | 70,6 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0,4 | 2,0 | 2,7 | 0,0 | 2,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,7 | 8,1 | 7,9 | 0,0 | 7,9 |
| | ვალდებულებების კლება | 1,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 01 04 | საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა | 0,0 | 20,0 | 140,4 | 140,4 | 0,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 20,0 | 140,4 | 140,4 | 0,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 20,0 | 140,4 | 140,4 | 0,0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 1 563,2 | 1 763,7 | 1 473,5 | 1 473,5 | 0,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 43 | 18 | 18 | 18 | 0 |
| | ხარჯები | 837,3 | 822,9 | 662,1 | 662,1 | 0,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 0,0 | 0,0 | 112,8 | 112,8 | 0,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 134,0 | 353,1 | 380,2 | 380,2 | 0,0 |
| | პროცენტი | 294,5 | 326,8 | 165,1 | 165,1 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 399,7 | 141,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 2,0 | 2,0 | 0,0 |
| | სხვა ხარჯები | 9,1 | 2,0 | 2,0 | 2,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8,7 | 157,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების კლება | 717,2 | 783,8 | 811,4 | 811,4 | 0,0 |
